პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | შაბათი, 26 აპრილი 1924 წ | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ...

# წითელი არმიელი

№ 486 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც· ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## განცხადება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 28 აპრილს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ.) დანიშნულია თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) პროფესორ იურევსკის მოხსენება ვალიუტის ბრუნვის შესახებ.
2) თბილისის აღმასკომის 1924 წ. ბიუჯეტის დამტკიცება.
3) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## ქართულ დივიზიის პარტიული კონფერენცია.

30 აპრილს საღამოს 6 საათზე ქ. დ. ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში გაიხსნება დივიზიის მესამე პარტ-კონფერენცია.

**დღის წესრიგი:**

1. საერთაშორისო და ს.ს.ს.რ. მდგომარეობა.
2. არმიის პოლიტ-სამმართველოს მოხსენება.
3. პოლიტ-განყოფილების მოხსენება.
4. პარტ კომისიის მოხსენება.
5. წითელი ჯარი, გადასვლა სამილიციო სისტემაზე და ტერიტორიალური ნაწილები.
6. პარტ-აღმშენებლობა და კომპარტიის მორიგი ამოცანები წითელ ჯარში.
7. არჩევნები:
   ა) დივიზიის პარტ-კომისიის.
   ბ) დელეგატების არმიის პარტ-კონფერენციაზე.
   გ) დელეგატების—საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე.
8) მიმდინარე კითხვები.
   ა) განხილვა ურთი-ერთ დამხმარე კასის დებულებისა.

დელეგატები უნდა გამოცხადდენ სათანადო მანდატების მისაღებათ 30 აპრილს დღის 3 საათამდე პოლიტ-განყოფილებაში.

პოლიტგანყოფილების უფროსი: ა. კვირიკაძე.

საორ. საიდრ. ნაწ. უფრ. ჯანაშემწე: თალაკვაძე.

# რადიო-დეპეშები

— საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფრუნზე დანიშნულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსად.

— „იუმანიტეს" ცნობით ფრანგებმა დაჰკარგეს სირიაში 10.000 კაცი და 10 მილიარდი ფრანკი.

— ბუდაპეშტში, უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესზე, სხდომის დარბაზში აღმოჩენილ იქნა 30 პოლიციის ჯაშუში.

შპიონები გაგდებულ იქნენ ძალით სხდომის დარბაზიდან.

— გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში ძლიერდება მუშათა გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე.

— პოლონეთის აღმოსავლეთის განაპირა კუთხეებში პოლიციამ აღმოაჩინა ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც ემზადებოდა მოეხდინა თავდასხმები მემამულეებზე და პოლიციაზე.

## საბჭოთა კავშირი

### სამთო მუშების ყრილობა.

24 აპრილს კავშირთა სახლში მოხდა ყრილობის საზეიმო - სხდომა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

### ლენინმა დაასრულა მარქსის საქმე.

შესავალ სიტყვაში ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ „მარქსმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საზოგადოების გაერთიანების კანონებს და დაგვანახა თუ როგორ იქნება ამ საზოგადოების სიღრმეში კაპიტალისტური წესწყობილების მესაფლავე-თანამედროვე პროლეტარიატი, და გვიჩვენა გზა, რომელზედაც პროლეტარიატი მიდის თავის განთავისუფლებისაკენ. დაუწერელი დარჩა ორი თავი: როგორ იქმნა სოციალისტური რევოლიუცია და როგორი იქნება მუშათა კლასის მდგომარეობა ძალა-უფლების ხელში აღების მეორე დღეს. ეს თავები დაწერილ იქნა ლენინის მიერ.

მარქსისტული სოციალიზმის საერთო თეორია ლენინმა განახორციელა პრაქტიკაში, ცხოვრებაში და მოქმედებაში. ლენინმა გვიჩვენა თუ როგორი იქნება სოციალისტური რევოლიუცია, შეიტანა მარქსიზმში მოძღვრება ახალ სახელმწიფოს შესახებ, რომლის შენებაც დაწყებულ უნდა იქნას ძალა-უფლების ხელში აღების მეორე დღესვე.

### ნამდვილი საინტერესო წიგნი.

ამხ. ტროცკიმ, რომელსაც შეხვდენ მხურვალე ტაშით უბრალო, წრფელი სიტყვებით დაახასიათა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკე ეპიზოდები. „ამ ჟამად-სთქვა ამხ. ტროცკიმ—ძნელია მოცემულ იქნას ლენინის სახე. საჭიროა რამოდენიმედ მოვშორდეთ ამ მომენტს, რათა თუნდაც დაახლოებით, შექმნილ იქნას მისი სურათი, რათა სამუდამოდ განმტკიცდეს კაცობრიობის ხსოვნაში. დღეს უმჯობესია მოვიგონოდ ცალკე ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. მომავალი თაობისათვის არ იქნება უფრო საინტერესო წიგნი, ვინემ წიგნი ლენინის, მაგრამ მას არავინ დასწერს, თუ არა ჩვენ". დამსწრეებმა გააცილეს ამხ. ტროცკი მხურვალე აპლოდისმენტებით კავშირის სახლიდან გამოსვლამდე.

ამხ. ტროცკის შემდეგ გამოვიდა მოგონებებით ლენინის შესახებ ამხ. რადეკი.

### რკინის გზელთა ყრილობაზე.

### ამხ. კამენევი ლენინის მოღვაწეობის შესახებ.

კავშირთა სახლის კოლონიან დარბაზში მოხდა საზეიმო სხდომა სრულიად კავშირის რკინის გზელთა ყრილობა, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის დაბადების 54 წლის თავისადმი.

ამხ. კამენევმა ორი საათის განმავლობაში დაახასიათა ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა. ათეულ წლების განმავლობაში რევოლიუციონერი—ინტელიგენტები ებრძოდენ მეფის თვითმპყრობელობას, მაგრამ ცარიზმი უფრო ძლიერი გამოდგა, ვინემ გმირულად და თავგანწირულად განწყობილი რევოლიუციონერთა მცირე ჯგუფი. ოთხმოციან წლების დასასრულში, თავის შეგნებული ცხოვრების განთიადზე, ლენინმა ჰპოვა სწორი გზა ცარიზმთან ბრძოლისათვის: „რუსეთის მშრომელთა მასებს გაანთავისუფლებს არა გმირულად განწყობილი ინტელიგენცია, არა ამ ინტელიგენციის ბრძოლა ცარიზმთან, არამედ გლეხთა სტიქიური აჯანყება. განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გლეხთა მასებისა და უკმაყოფილოთა სათავეში ჩადგება თავის კლასიური ინტერესებით ღრმად გამსჭვალული პროლეტარიატი."

## სარწმუნოებრივი დღესასწაულის მაგიერ რევოლიუციონური დღესასწაული.

დღითი დღე ოქტომბრის რევოლიუციის დღეები ფეხს იკიდებენ საბჭოთა ქვეყნების ცხოვრების ყოველივე სფეროში და ხორცს ისხამენ.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურად განმტკიცება, ჩვენი მეურნეობის წინსვლა აღორძინებისა და აყვავების გზაზე და საბჭოთა-კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გამაგრება—ყველაფერი ეს ქმნიან მშვიდობიან პირობებს, როდესაც გამარჯვებული პროლეტარიატს საშვალება ეძლევა ფართეთ გაშალოს თავის შემოქმედებითი ენერგია და დაიწყოს ახალ ცხოვრების მოწყობა სოციალისტურ საფუძვლებზე.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის წლები საშვალებას არ აძლევდენ პროლეტარიატს სათანადო ყურადღება მიექცია კულტურულ და ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი.

დღეს საბჭოთა ხელისუფლება სამუდამოთ განმტკიცდა; კონტრ-რევოლიუცია მოსპობილია, გარეშე საფრხე არ არის, მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა. საბჭოთა რესპუბლიკები თანდათანობით გამოდიან იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების მიერ ნაანდერძევ ეკონომიურ კრიზისიდან და ჩვენი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. პროლეტარიატის დიკტატურის განმტკიცებით ფეხს იკიდებს ახალი ყოფა, ახალი ზნე-ჩვეულებები. მშრომელი ხალხი მიილტვის სინათლისაკენ, კულტურისაკენ და მეცნიარებისაკენ. მუშათა კლასს საშვალება ეძლევა იდეური ბრძოლა გამოუცხადოს ყოველგვარ სიბნელეს, დამყაყებულ ტრადიციას განსაკუთრებით რელიგიას.

ამ მიმართულებით უკვე მთელი რიგი ახალი ზნეჩვეულებანი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც რევოლიუციონური ქორწინება, კომუნისტური ნათლობა და სხვა.

დროა შევუტიოთ სარწმუნოებრივ დღესასწაულებსაც და შემოვიღოთ მათ მაგიერ რევოლიუციონური დღესასწაულები. თავისი მრავალ წლიან ბრძოლის პროცესში კაპიტალიზმთან, პროლეტარიატმა შექმნა მსოფლიო დღესასწაულებები,—დღემდის კი მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ექვს წელზე მეტი არსებობს, საბჭოთა კავშირში განაგრძობენ არსებობას სარწმუნოებრივი დღესასწაულები, რაც არა ნორმალურია.

ოკტომბრის რევოლიუციამ ძირფესვიანად აღმოფხვრა ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა; მან აგრეთვე სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობდა მუშების და გლეხების აზრის დაჩლუნგებას და მათ ექსპლოატაციას კაპიტალისტების მიერ.

რელიგია სამღვდელოების ინსტიტუტით ერთ ერთ უებარ საშვალებათაგანი იყო ბურჟუაზიის ხელში მშრომელთა ხალხის გონების დასაჩლუნგავად და მათ გასაყვლეფად.

ამიტომ ძველი წესწყობილების განადგურებასთან ჩვენ ძირბუდიანად უნდა აღვმოვფხრათ მისი ყოველივე დარჩენილი ნასახი და კერძოდ რელიგია.

ამ მხრივ ჩვენ ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ იდეიურათ, აგიტაცია პროპაგანდის გზით. იდეიური მეცნიერული ანტი რელიგიური კომპანიების გზით უნდა შევუტიოთ სარწმუნოებას. ამასთანავე, ერთად ერთ ანტირელიგიური ბრძოლის ფორმათ შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოებრივი დღესასწაულების, უქმე დღეების მაგიერ რევოლიუციონურ დღესასწაულების შემოღება.

ამ მიმართულებით წრეულს ინიციატივა ხელში აიღეს თვით მუშებმა. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სამრეწველო რაიონებში მუშებმა გამოიტანეს დადგენილება არ იუქმონ აღდგომა, იმუშაონ ამ დღეს და ხოლო აღდგომის დასასვენებელი დღეები გადიტანონ ორ და სამ მაისს და ამნაირად იდღესასწაულონ პირველი მაისი. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს თბილისის მუშებმაც. მთავრობაც წავიდა მათ სურვილზე და დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება. ამასთანავე ერთად ანალოგიური ბრძანება გაცემულია წითელი-ჯარის ყველა ნაწილებისადმი, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე.

ამრიგად მუშები და წითელ-არმიელები არ უქმობენ აღდგომას და დიდ ზეიმით იდღესასწაულებენ პირველ მაისს.

ე მორიგი გამარჯვებაა კულტურისა და ახალი ყოფის შექმნის ფრონტზე. საჭიროა ნაწილებში ამ დღეებში ფართედ ჩატარდეს ანტი-რელიგიური მოხსენებები და გაშუქებულ იქნას რელიგიის და რელიგიური დღესასწაულების მნიშვნელობა.

ძირს მონობის, სიბნელის და ჩაგვრის დღესასწაულები.

გაუმარჯოს წითელ რევოლიუციონურ დღესასწაულს!

ლენინის ამ დასკვნამ გამოიწვია იმ დროს დაცინვები, და ირონიული მითითება იმ ფაქტზე, რომ ჩვენ პროლეტარიატი არ გვყავს. ლენინმა, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული მუშათა კლასის პოტენციალურ ხანაში, ყურადღება არ მიაქცია ამ დაცინვებსა და ურწმუნოებას და იმ დღიდან მთელი ძალითა და ღონით შეუდგა მუშათა დაწყებითი უჯრედების—დღევანდელი ჩვენი პროლეტარული არმიის შექმნას.

1895 წელს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მოწყობილ იქნა ჩვენი პარტიის პირველი კომიტეტი, რომელსაც ერქვა მაშინ „პეტერბურგის კავშირი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის‘‘. ეს იყო პირველი მუშათა კომუნისტური რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი რევოლიუციონურ-მარქსისტულ მოძრაობის შემდეგ მსვლელობას რუსეთში. ამ ორგანიზაციამ მეორე წელში მოახდინა უმაგალითო მუშათა გაფიცვები რუსეთში. პირველად ჩამორჩენილ რუსეთის მეფის სატახტო ქალაქში პროლეტარულმა მასამ მოაწყო 40.000 მუშის გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა რამოდენიმე კვირა და მოახდინა დიდი შთაბეჭდილება არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. ლენინს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო თვით გაფიცვებში ვინაიდან ის დააპატიმრეს რამოდენიმე კვირით ადრე გაფიცვებამდე და გადაასახლეს ციმბირში.

ჩვენი პარტიის პირველი გეგმის პირი ლენინმა დასწერა ციხეში და გამოგზავნა გარედ. გადასახლების დროს მან დასწერა დიდი შრომა—„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში‘‘. ვლადიმერ ილიჩის მთელი ცხოვრება წარმოადგენდა ბრძოლას დაუღალავ მარქსიზმის პრინციპებისათვის ბურჟუაზიულ გავლენის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ გათავებულა; ჩვენ მას განვაგრძობთ და უნდა გავიმარჯვოდ.

რათა მუდამ მხნედ ვიყოთ და განვამტკიცოდ ლენინის საქმე ჩვენ ყოველგან და მუდამ უნდა გვახსოვდეს მისი ძირითადი ანდერძი: „დაენდე მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალას‘‘. ილიჩს თვით რეაქციის ბნელ წლებშიაც სწამდა, რომ მუშათა კლასი თავისას გაიტანს, რომ პროლეტარიატის კლასიური ინსტიქტი, პროლეტარული კოლექტივის კლასიური გონება გამოიყვანს მას გზაზე და უჩვენებს მას სწორ გზას. ეს რწმენა მუშათა კლასის აზრსა, გონებასა, ნებიმყოფასა და მკლავის ძლიერებაში ამხ. ლენინმა ჩვენ გვიანდერძა. ამ რწმენით გამარჯვება იმ საქმეში, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, უეჭველია.

ლენინის ახალწვეულთა პარტიას გამოეხმაურენ და მოდიან ჩვენთან მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც ჩვენ უკვე გამოგვცადენ და გვენდობიან. ლენინის სახელს დიდის კრძალვით იხსენიებს გლეხობა. ვლადიმერ ილიჩის დროშის ქვეშ წავა საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობა. შორს არ არის ის საათი. როცა ჩვენ აკლდამასთან წითელ მოედანზე ჩვენ მივიტანთ სასიხარულო ცნობას იმის შესახებ, რომ ლენინის საქმემ, პროლეტარული კომუნიზმის საქმემ გაიმარჯვა მთელ მსოფლიოში (მხურვალე ტაში).

ყრილობამ გადასწყვიტა მიმართოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომს თხოვნით, რათა რიაზან ურალის რკინის გზას, რომელზედაც ლენინმა უკანასკნელად იმოგზაურა დაერქვას „ულიანოვ ლენინის‘‘ სახელი.

# მუშათა მოძრაობა.

## გაფიცვები.

ახალ ზელანდიაში სამუშაო ხელფასის გიდიდების გარშემო გაიფიცა რკინის გზელები.

გავანეში გამოცხადებულია საერთო გაფიცვები.

## პოლონეთი.

### მსხვილი ორგანიზაცია.

აღმოსავლეთ კუთხეებში პოლიციამ გამოაქვეყნა აჯანყების მომწყობი ფართე ორგანიზაცია, რომ ლითაც აღდგომის პირველ დღეებში უნდა მოეხდინათ თავდასხმა მემამულეებსა და პოლიციაზე.

## გაფიცვები მემელში.

მემელის ნავთსადგურების მუშათა გაფიცვები დამთავრდა მუშათა გამარჯვებით.

დაიწყო ხეტყის მუშათა გაფიცვები.

## საფრანგეთი.

### გაფიცულთა სიმტკიცე.

მიუხედავად რეპრესიული ზომებისა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ფეიქართა და მღებავთა გაფიცვები მაინც გრძელდება.

გაფიცულები მტკიცედ იცავენ თავიანთ მოთხოვნილებებს.

## ჩინეთი.

### ბოლი უცეცხლოთ არ იქნება.

რამოდენიმე დღის უკან დიპლომატიური კვარტალის პოლიციამ პეკინის ქალაქის კედლიდან განდევნა ჩინელი ჯარის კაცი, რომელსაც განუცხადა, რომ კედლის გასწვრივ სეირნობა შეუძლია მხოლოდ უცხოელებს. ჯარის კაცმა წინააღმდეგობა გაუწია, რის გამო ის დააპატიმრეს და დაჰკრეს 40 ბამბუკის წკეპლი. განთავისუფლების შემდეგ ჯარის კაცმა სცემა ინგლისელს, იტალიელსა და ამერიკელს.

ჩინეთის პრესა ერთსულოვნად ამართლებს ჯარის კაცს და სთვლის მის დაპატიმრებას ჩინეთის სუვერენიტეტის შელახვად. ინგლისის წარმომადგენელი მოითხოვს ჯარის კაცის გასამართლებას, ინგლისის წარმომადგენლების თანდასწრებით. ამ საქმის გამო მომხდარ მრავალრიცხოვან მიტინგზე პარლამენტის წევრები გამოვიდენ სასტიკი სიტყვებით ინგლისის წინააღმდეგ. მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ინგლისის წარმომადგენელმა ბოდიში უნდა მოუხადოს ჩინეთის მთავრობის შეურაცხყოფისთვის და მისცეს ფორმალური შეპირება, რომ ასეთი ინციდენტი კვლავ არ განმეორდება. პროვინციებში უნდა დაიგზავნოს ცირკულიარული დეპეშები ინგლისის შეურაცხმყოფელ მოქმედების შესახებ. მოეთხოვოს ინგლისის ელჩს ინგლისის ჯარის კაცის დასჯა, რომელმაც შეასრულა ეკზეკუცია ჩინელ ჯარის კაცზე. თუ მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული, მაშინ ჩინეთის მთავრობამ უნდა გამოაკრას ყველა თვალსაჩინო ადგილებზე—რომელთაც ისტორიული ინტერესი აქვთ—შემდეგი წარწერა: „ინგლისიელების და ძაღლების შესვლა აკრძალულია‘‘.

შემდგარია სპეციალური კომისია კონფლიქტის განსახილავად.

# კაპიტალისტურ ქვეყნებში

## ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

### მუშაობის განახლება.

უქმეების შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ განაახლა მოსამზადებელი მუშაობა. კონფერენციის სხდომაზე 24 აპრილს დასმულ იქნება წინასწარი მუშაობის პროგრამა.

საბჭოთა დელეგაცია მიწვეულ იქნა კოლონიების მინისტრის ტომასის მიერ უიმბლიში, ბრიტანეთის საიმპერიო გამოფენაზე, ხოლო შემდეგ—საუზმოზე.

## საბჭოთა-რუმინეთის კონფლიკტი.

### სამხრეთ-სლავია არ თანაუგრძნობს რუმინეთს.

სამხრეთ-სლავიის გაზეთი „ბელგრადსკიე ნოვოსტი“, რომელიც ახლოს არის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, აღნიშნავს, რომ რუმინეთს, საბჭოთა კავშირთან შესაძლებელ კონფლიკტში, არ შეუძლია იმედი იქონიოს სამხრეთ სლავიისა, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალიტეტს დაიცავს. გაზეთი სწერს: „სამხრეთ-სლავიის ერი არ დაუშვებს იმს მოძმე რუსეთის ერის წინააღმდეგ, მიუხედავად საბჭოთა კავშირში არსებულ წესწყობილებისა.

## ჩაიშალა.

### ბრატიანუ არ მიდის ოსმალეთში.

რუმინეთის პრემიერის ბრატიანუს მოსალოდნელი გამგზავრება ანგორაში არ მოწყვა.

## პუანკარე და კიევის პროცესი.

### პუანკარემ სხვა ტონი აიღო.

ჩიჩერინისადმი მიმართულ ნოტაში პუანკარე აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის სახელზე გაგზავნილ საფრანგეთის სწავლულთა თხოვნაში—კიევის პროცესზე ბრალდებულთა შეღავათების მინიჭების შესახებ—საფრანგეთის მთავრობას არც უფიქრია ჩარეულიყო საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეში. პუანკარეს მოჰყავს თავისი სიტყვები სენატში, რომ საფრანგეთს არ უნდა ჩაერიოს რუსეთის საშინაო პოლიტიკაში.

პუანკარე უარყოფს, რომ თითქოს კიევის საქმის გამო დასჯილები ყოფილიყვნენ საფრანგეთის საიდუმლო აგენტურის თანამშრომლები.

# პატარა ფელეტონი.

## სააღდგომო მოგონება.

(თითქმის მართალი ამბავი)

განსვენებული ბებია ჩვენი მეტად მორწმუნე და ღვთის მოსავი ადამიანი იყო; ისე ხელში არაფერს აიღებდა, რომ მისთვის ყოვლად მოწყალე ღვთის სახელი არ ეხსენებია; არც ერთ შაბათ-კვირას წირვა-ლოცვას არ აკლდებოდა; ოთხშაბათ-პარასკეობით ხომ ხორცეულობას ვერ ჩაიკარებდი პირში. ჩვენი „პრიხოდის“ მღვდელი „მამაო“ გიორგი და მისი დიაკონი ისაკო მეტად ყურადღებით ეპყრობოდენ ბებია ჩემს: წირვას უიმისოთ არ დაიწყებდა, აღდგომას ცისკარს და 12-თავი სახარების კითხვას არ შეუდგებოდა; მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცის დარიგების დროს ე. ი. ზიარების დროს: რაც უნდა ბევრი ყოფილიყვნენ მაზიარებლები და მღვდელი ქესატად ყოფილიყო ელოგიაზე, ბებია ჩემს 3-4 ნაჭერს უთუოდ ჩაუდებდა ხელში; ბებიაც ჯერ ემთხვეოდა-აკოცებდა ელოგიას, ერთხანს დიდის სასოებით და სიყვარულით უყურებდა და ბოლოს დიდის მოკრძალების შემდეგ ჩაიდებდა პირში.

ან რატომ არ უნდა ქონოდა მღვდელსა და მის დიაკონს ბებია ჩემის ხათრი და რიდი: ჩვენსა ისე კოკორი არ გამოცხვებოდა, რომ მათ არ ქონოდათ წილი. მაგრამ მახსოვს ერთხელ ძალიან ოინი უქენი მათ: ერთ შაბათს, თუ არ ვცდები სული წმინდის მოფენის დღეს, ბებია ჩემმა თვითონ დაიწინაურა-წირვაზე დამაგვიანდებაო და მეკი დამავალა წამეღო ეკლესიაზე კალათაში უკვე გამზადებული საკურთხი. (ეს კალათა სპეციალურად საკურთხისათვის იყო) რასაკვირველია იმის ეჭვიც არ შეპარვია, რომ ღვთისათვის გამზადებულ (და არა მღვდელისათვის) უკურთხ ხაჭაპურებს მე ხელს ვახლებდი; მეც წამოვიცვი ხელ-კალათა მკლავზე და გაუდექი ეკლესიისაკენ; შუა გზაზე არ ვიყავი მისული, რომ წამძლია სულმა, ავხადე კალათს თავი, მაგრამ არ ვიცოდი როგორ შევდგომოდი საქმეს; სულ 7-დი ხაჭაპური იყო და ცხონებულ ბებიას ერთი 40-ჯერ კი ქონდა დათვლილი; მაგრამ მივმართე ხერხს: ჭუჭრუტელიდან (ასეთს უტოვებენ იმერეთში სასაკურთხე ხაჭაპურს) შევიდივეს ისე მოხერხებულათ ამოვაცალე ყველი, რომ ღმერთიც კი ვერაფერს შეატყობდა; გამახურა მარილიანმა ყველმა, დავეწაფე საზედაშე ღვინით სავსე ხელადას, რომელიც საგრძნობლად დანაკლულდა, მაგრამ ხელათ შევამსე მახლობელი წყაროს წყლით; ეკლესიაზე თავის დროზე ვიყავი; არც მღვდელს და არც ბებიას ჩემი დანაშაულობის შესახებ არაფერი გაუგია; არც მე მინანია, თუმცა სულო ცოდვილო, რომ დავწევი ცოტა კი ვიფიქრე გუნებაში. ვაი თუ გასჭრას რამე საწაულმა და რამე ხიფათი ამიტეხოს მეთქი მაგრამ დალოცა ღმერთმა საიმისო არაფერი დამმართვია, გარდა იმისა, რომ ძილში ძლიერ შემაწუხა წყურვილმა, მაგრამ სიზმრათ მძინარივე, დავეწაფე ცივ ღამის წყაროს და ამ საშიშროებამაც განვლო; სხვა იმ წელიწადში ფრჩხილიც არ წამომტკენია.

ახიც იყო, რადგანაც საკურთხის გაკეთების დღეს ჭიპზედაც რომ გავმსკტარიყავ ტირილით ბებია ჩემი ფინჩხასაც არ მომიტეხდა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სააღდგომოთ ჩვეულებრივათ სასწავლებლიდან დაგვითხოვეს,—და სააღდგომოთ შინ ვიყავი; წირვის შემდეგ მღვდელს ველოდით სახლის „მოსასხურებლათ“. (აღდგომა დღეს მღვდელს მთელი თავის „პრიხოდის“ ოჯახები უნდა დაევლო მოსასხურებლათ); პირველათ ყოველთვის ჩვენსა მოდიოდა ხოლმე, მაგრამ როგორღაც იმ დღეს დაიგვიანა და საღამოს 5-თუ 6 საათი იქნებოდა, რომ „მამა“ გიორგი და დიაკვანი ისაკი ჯორებით მოადგენ ჩვენ ეზოს ჭიშკარს; ჭიშკრის გასაღებად მე გამაგზავნეს; საცოდავი ჯორები აუტანელ სიმძიმისაგან წელ-ჩაზნექილები იყვნენ; მღვდელ-დიაკვანი ისე, იყვენ გამომძღრები, რომ მათ მუცელზე რომ იტყვიან, კატაც კი ვერ მოიკიდებდა ჰვანკს; მღვდლის ხურჯინში ხომ ტევა აღარ იყო, დიაკვნის ხურჯინს კი ცოტა კიდევ აკლდა; ეტყობოდათ ორივეს „ზედაშიც“ ხარბათ მიერთმიათ: რაღაცა ერთმანეთს ცხარე კილოთი ელუღლუღებოდენ. მე ჭიშკარი გავაღე მაგრამ ჯორები მაინც არ იცვლიდენ ფეხს; მეც მიუგდე მათ ჩხუბს ყური, დიაკვანი უმტკიცებდა მღდელს:

— მამაო, გეფიცები შენს კურთხევის მადლს და მაგ ჯვარს, ეს პასკის თავი ბასილას ცოლმა ელისაბედმა თავისი საკუთარი ხელებით ჩადვა ჩემს ხურჯინში, თავია თორემ, ისე არც პასკის მესამედი იქნება.

— შენ არა ხარ ჯერ შტატნი დიაკონი. ჯერ შენ „მედავითნე“—ხარ, მესამედი კი არა, მეხუთედი გერგება ხორცეულობის, პასკა კი სულაც არ გერგებაო, არწმუნებდა მღვდელი მუშტების მოღერებით.

— არა, მამაო, გეფიცები ამ აღდგომის მადლს პასკაშიაც მასქვს წილი, მართალია ახალგაზრდა დიაკვანი ვარ, მაგრამ კანონები მაინც..

— შე შეჩვენებულო სად გაგონილა დიაკვანს პასკის თავი წაეღოს და მღვდელს ბოლო, გააწყვეტინა დიაკვანს სიტყვა პირზე დორბლ-მოყრილმა „მამაო“ გიორგიმ.

ვინ იცის სანამდი ვიქნებოდით საცოდავი ჯორები და მე მოწმენი ამ სცენის, რომ მღვდელს ჭიშკარისაკენ შესაგებებლად მომავალი ბებია ჩემი არ დაენახა, ბებია რომ ჭიშკარს მოუახლოვდა, მღვდელმა სასტიკი კილოთი უბრძანა დიაკვანს!

— დაიწყე „ქრისტე აღსდგა“ იმანაც დაიწყო, აყვა „ბასით“ მღვდელიც მაგრამ ვაი მისთანა დაწყებას: რომ მიატანეს სიტყვებამდე—„დამრგვნელითა“—იქ ორივემ მიასო ფეხი და არ იქნა, მეტი სიტყვები ვერც ერთმა ველარ მოიგონა, სულ „დამთუურგნელის-დამთრუგნელის“, ძახილით შევიდნენ სახლში.

ჯორები მესერეზე ჩამოაბეს; ბებია ჩემმა მე დამავალა—„ყური უგდე ჯორებს არ აიწყვიტონო“, ძალზე მოქანცულმა საცოდავმა ცხოველებმა შვება იგრძნეს.

მიუახლოვდი მღვდლის ჯორზე გადაკიდებულ მღვდლის ხურჯინს; ერთი ცალი ხურჯინის საკმაოდ ძლევდა მეორეს; ცოტა ხელი მოხვდა ხურჯინის მსუბუქ ნაწილს, დასძლია სავსემ და ხურჯინმა თავ ყირამალა მოადინა ბრეგვა მიწაზე. ხურჯინიდან გამოსცვინდა აურებელი სხვა და სხვა ფერის კვერცხები, ხორცი შემწვარი თუ მოხარშული, პასკის ნაჭრები სულ სხვა და სხვა სორტის; დავიწყე აკრეფა, მაგრამ რამდენს აკრეფავ, ყველაფერს ვერ მოუყარე თავი. ამასობაში მღვდელს გაეთავებია ჩვენი სახლის „მოსხურება“, გამოვიდენ გარეთ წასასვლელათ, მღვდელმა მოკრა თვალი მიწაზე დაბნეულს მის ნადავლს, ჩემი ცოდვით სავსე ჩვენ მურას წამოევლო ცხვრის ბეჭისათვის პირი დაპირდაპირ მღვდელს შეეფეთა წინ; მივიდა „მამა“ გიორგი, მაგრამ ვაი მისთანა მოსვლას, დაიწყო ღრიალი, მერე, როგორი ღრიალი, ებღვნა საცოდავ დიაკვანს:

— ეს სულ შენი ბრალია, შენ სულ წაწყმენდილო, სახეთქს რომ დაინახავ, სულ გაიწყდება, რომ ჯორებს უნდა მიხედო რა ოხერ მუცელში ჩაგიდის მაინც ამდენი ჭამა და თან მათრახის ტარი მაგრათ შემოსცხო თქვენს დიაკვანს მუცელზე.

გრ. სლავისონიშვილი.

(დასრულება კვირის №-ში)




## ცენტრ-კლუბში.

24 აპრილს, ქ. მ. დ. ცენტრ-კლუბში, კლუბთან არსებულ ვ. ალექსი-მესხიშვილის სახელობის დრამ წრის და წითელ-არმიელთა დახმარებით გაიმართა საღამო-წარმოდგენა, საჯევახო-ჩოხატაურს შორის შარა-გზის გასაყვან ფონდის გასაძლიერებლად.

წითელ არმიელთათვის შესვლა უფასო იყო.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, როგორც ჩვენი ჯარის ნაწილებიდან ისე მუშები და კერძო მოქალაქენი.

საღამოზე უკრავდა 1-ლ ლეგიონის ორკესტრი—ცნობილ მაესტრო დონენკოს ხელმძღვანელობით. დაიდგა ა. ყაზბეგის: „ყაჩაღი არსენა“ 3 მოქ. რომელშიაც ყველა მოთამაშენი თავის ადგილზე იყვნენ და კარგა მომზადებულნიც, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

შემდეგ გაიმართა ბალეტი ბავშვ სტუდიელების მონაწილეობით, სადაც თავი ისახელა ბექთაბეგიშვილის ასეულმა და კმაყოფილმა საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია.

საღამო გათავდა ღამის 12 საათ.

ს. ნ.

## პარტ. სკოლაში.

მის შემდეგ, რაც სამხ. პარტ.-სკოლაში კოლეგია დაარსდა, პირველად იქნა ჩატარებული პრაკტიკული მეცადინეობა 31 მარტს, გამეორებულ იქნა ისტორიული მატერიალიზმის განვლილი გაკვეთილები 1-ლსა და მე-2-რე ჯგუფში. მონაწილეობა მიიღო ყველამ და გავაშუქეთ დეტალურათ ყოველივე საკითხები „დისკუსიით“. ასეთი წესით ჩვენ შევეჩვევით „პოლემიკის“ წარმოება—კამათს, რომელიც გვჭირდება თანამედროვე საზოგადოებაში. ეხლა ჩვენ, თუმცა გვიხდება დაუსვენებელი მეცადინეობა, როგორც სამხედროში, აგრეთვე კლასიკურსა და პოლიტიკურში, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვღლის ამოდენი მაცადინეობა. ჩვენმა მშობლებმა ვერ შესძლეს სიღარიბის გამო ესწავლებიათ ჩვენთვის მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ რომ გაიხსნა ცხოვრების კარები საბჭოთა ხელისუფლების შემწეობით, რომელიც გაგვიხდა მეორე საუკეთესო მშობლებათ, და გვასწავლიან და გვზრდიან მათ ხარჯზე და უნდა ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა სწავლის შემდეგ საბჭ. ხელისუფლების აღმშენებლობაში. ამისათვის ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს სიზარმაცე, ჩვენ უნდა ვიმეცადინოთ ინტენსიურათ, რომ შევასრულოთ ჩვენი პერსპ.-ტგავატარებთ ცხოვრებაში ყოველივე მას, რასაც ჩვენ მოგვითხრობს „ლენინიზმი“ და გამოვთქვამთ იმედს ჩვენ სამხ. პარტ. სკოლის კურს. რომ უმნიშვნელოთ არ ჩაივლის ამოდენა ხარჯები ჩვენზე, რომელსაც იღებს საბჭოთა ხელისუფლება. კითხვების ამოწურვის შემდეგ პრაკტიკული მეცადინეობა იშლება. რომელსაც დიდი იმედებით შევყურებთ.

კურსანტი გ. თაზუკაშვილი.

## ჩვენც ხვსურს ვიყოთ წევრებათ საჰაერო ფლოტის,

ხუთშაბათს 24 აპრილს 1924 წ. უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში შესდგა მორიგი გაერთიანებული საერთო კრება, რომელსაც დაესწრო სკოლის მთელი შემადგენლობა.

კრების თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ამხ. დონაძე, მდივნად ამხ. ცომაია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. საჰაერო ფლოტი და მისი მნიშვნელობა და წევრთა მიღება.
2. ევკოგრუზის მომავალ საერთო ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

საჰაერო ფლოტის და მის მნიშვნელობაზე და წევრად ჩაწერის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამავე სკოლის სამხკომი. ამხ. დონაძე, მოკლედ და მკაფიოთ აცნობს საჰაერო ფლოტისა და საჰაერო საზოგადოების წევრად ჩაწერის მნიშვნელობას.

მომხსენებელმა მკაფიოდ გაგვიმარტა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა, ომში დავდაცვის დროს, მისი მნიშვნელობა, როგორც მიმოსვლის საუკეთესო საშუალებისა ეკონომიურ აღორძინების საქმეში. მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო. კრების წევრებმა ერთხმად გადასწყვიტეს საზოგადოების წევრათ ჩაწერა, რითაც ისინი შეიტანენ თავიანთ წვლილს საჰაერო ფლოტის გაძლიერების საქმეში.

ევკოგრუზის მომავალ ყრილობაზე არჩეულ იქმნა ორი დელეგატი, რის შემდეგ კრება დაიშალა.

გ. ანაგელი.

## ჩვენს სკოლაში წერა-კითხვის უცოდინარნი აღარ არიან.

სამშაბათს, 23 აპრილს მშვენიერი დილა გათენდა. დილის მზის სხივებს ღრუბელი არ ეფარება. მინდვრის ყვავილები აფერადდა. მაღლა მთებში მოფენილია საქონელი, მეჯოგეების ალაგ-ალაგ სალამურის ხმა ისმოდა. ადამიანი გრძნობდა დღეს რაღაც მშვენიერებას.

აგუგუნდა დეპოს საყვირი, რომელიც ქალაქს აღვიძებს.

ამ დროს დიდი სიხარული იყო ჩვენს სკოლაში. მეშვიდე გაერთიანებულ სკოლის კურსანტები მოფენილია გალაკნის შიგნით. მუსაიფი და მზადება იყო შვებულებაში წასვლის შესახებ.

დილის 11 საათი შეიქნა.

გამოჩნდა მწყობრად უმწყობრო ასეულის წითელ არმიელები.

მოისმა ბუკის ხმა შეკრებისა. დღეს ილიჩის დაბადების 54 წ. თავია. კურსანტები და წითელ არმიელები მოგროვდენ სამკითხველოში. სამკითხველო მორთულია მშვენიერი პლაკატებით. სამკითხველოში რამოდენიმე სხვა და სხვა კუთხეებია. მასთან მორთულია ილიჩის კუთხე თვალსაჩინო ადგილზე. შკაფზე ილიჩის დიდი სურათია იქით აქით შკაფები, ერთში ილიჩის თხზულებანი და მეორეში კი ლიტერატურა ლენინის შესახებ.

წითელ არმიელები სხედან შუაზე იქეთ აქეთ გვერდში კურსანტებია ჩამწკრივებული.

საზეიმო კრებას ამხ. ს. ბუაჩიძე ხსნის.

კრების მიზანია შემდეგი:

1. ილიჩის დაბადებიდან 54 წლის შესრულების აღნიშვნა.
2. ილიჩის კუთხის გახსნა სამკითხველოში.
3. უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების სწავლის შეფასება კომისიის მიერ და ჯილდოს დარიგება.

ილიჩის დაბადებიდან 54 წლის თავის შესრულების შესახებ და კუთხის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ბუაჩიძე.

მომხსენებელი ახასიათებს მდაბიო ენით ილიჩის მოძღვრებას. აღნიშნავს, თუ რა დაგვიტოვა ილიჩმა ჩვენ და რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ მომავალში.

მომხსენებელი შეჩერდა ილიჩის კუთხის მნიშვნელობაზე. ის ამბობს, რომ ვინც ატარებს ლენინელის სახელს, მან უნდა იცოდეს ლენინიზმი, ამაში კი სამსახურს გაგვიწევს ლენინის კუთხე.

შემდეგ გამოდიან კურსანტები და აშუქებენ შეძლების და გვარად ლენინის მოღვაწეობას და წითელი კუთხის მნიშვნელობას.

შემდეგ გაშუქებული იქმნა პლაკატების მნიშვნელობა სამკითხველოს გამგე ლალიაშვილის მიერ.

შემდეგ მოხსენებით გამოდის უმწყობრო ასეულის წითელ არმიელთა მასწავლებელი ლობაძე.

მას მოყავს დაწვრილებითი ცნობები, თუ რა პირობებში უხდებოდა მას წერა-კითხვის შესწავლა წით. არმიელებისათვის, მას ყოლია 84 წითელ არმიელი. წერა-კითხვის უცოდინარი გამოცდებზე დასწრებია 68, დანარჩენი ავათმყოფობის და სხვა და სხვა მიზეზის გამო გამოცდებზე ვერ გამოცხადებულან. გამოცდების დროს აღმოჩნდა მხოლოდ სამი წერა-კითხვის უცოდინარი. კომისიის დადგენილებით ჯილდო მიაკუთვნეს გამოცდების კარგად ჩაბარებისათვის. სამ წითელ არმიელს. 1. შავკაციშვილი, 2. ციგრიაშვილი. და 3. მელიქაშვილს. მათ მიეცემად სხვა და სხვა საჩუქრები.

წითელ არმიელები მადლობას უხდიან მასწავლებლებს და პოლიტ-შემადგენლობას, რომლებმაც შეასწავლებს მათ წერა-კითხვა. წითელ არმიელები ფიცს სდებენ, რომ ისინი შეგნებულად დაიცავენ მუშების და გლეხების ინტერესებს და დაძახებისთანავე გამოვლენ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. ამხანაგების მისალმება ცხარე ტაშით დაიფარა. უკანასკნელ სიტყვას ამბობს ამხ. ბუაჩიძე.

შემდეგ ამისა კრება დაიხურა.

კურსანტი: ა. ჭკადუა,

# პარტიული ცხოვრება.

## უმც. მეთ. მოსამზადებელ სკოლის კომუჯრედში.

20 აპრილს შესდგა კომუჯრედის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობა პარტ ამხანაგებისა.

დღის წესრიგში იყო; ა) წინა კრების ოქმის დამტკიცება, ბ) ფულის რეფორმა, გ) მოხსენება კომუჯრედის მუშაობის შესახებ, დ) ცირკულიარების და პარტიაში შემოსვლის მსურველ პირების განცხადების განხილვა, ე) მიმდინარე კითხვები.

**მოისმინეს**: ა) შინაარსი საქმისა № 8. ბ) მოხსენება ფულის რეფორმის შესახებ სკოლის სამხკომის ამხ. დონაძესი. ამხ. მომხსენებელმა საკმაო ნათლად გაგვიშუქა ფულის რეფორმა და მისი მნიშვნელობა. რეფორმის შედეგებზე მოყავს ცოცხალი მაგალითები დღიურ ცნობებიდან. ინფორმაციული მოხსენება კომუჯრედის მუშაობაზე გააკეთა მდივანმა, რომელიც შეეხო უჯრედის იდეურტექნიკურ მხარეებს საწევრო გადასახადის ანგარიშს და მის ახალ დანიშნულებას. დ) შინაარსი ცირკულიარის № 76, რომელიც შეეხებოდა ქ. დ. მესამე პარტ-კონფერენციის სამზადის და დელეგატების არჩევას.

**დაადგინეს**: მიღებულ იქნას ცნობათ ცირკულიარი და ფ. რეფორმის შესახებ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიდაც აღფრთოვანებით აღნიშნავენ მიღწეულ გამარჯვებას საბჭოთა ეკონომიურ ფრონტზედ. მდივნის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ ჩაითვალოს და დაევალოს პრეზიდიუმს იდეური ხელმძღვანელობა პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის სკოლის ფარგლებში. ვინაიდან მოხსენებებმა გასტანა დიდხანს და სკოლის შინაური პირობები მოითხოვს კურსანტების განთავისუფლებას კრებიდან, ამიტომ განცხადებების განხილვა და მიმდინარე კითხვა გადაიდვა მორიგ კრებისათვის.

პარტკორი ე. ც.

## იმპერიალისტურ ქვეყნების სამხედრო ცხოვრებიდან.

**იმპერიალისტების „ჰაერის“ შეიარაღება 1923 წელს**, ინგლისის ერთ-ერთ ჟურნალში დასავლეთ ქვეყნების ჰაეროძალების შესახებ შემდეგი ცნობებია მოყვანილი:

| | ჰაეროპლანები. | საბრძოლო ესკადრილ. | მფრინავთა შემადგენ. | |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთში | 1562. | 174. | 37.730 | კაცი. |
| შეერ. შტატებში | 630. | 48. | 14.466 | „ |
| ინგლისში | 408. | 34. | 29.306 | „ |
| იტალიაში | 370. | 37. | 8000 | „ |
| იაპონიაში | 330. | 33. | 5000 | „ |

(ამ რიცხვებში არ შედის სამოსწავლო აპარატები. თითო ესკადრილიაში აპარატების რიცხვი ნაირ სახელმწიფოში ნაირია).

ესკადრილიების რიცხვი თავისი დანიშნულების მიხედვით შემდეგია:

| | მეომარი | საბომბე | მზვერავთა ესკადრ. |
|---|---|---|---|
| საფრანგეთში | 54. | 48. | 72. |
| შეერ. შტატ-ში | 13. | 13. | 24. |
| იტალიაში | 3. | 3. | 20. |

**ეს ფლოტი ესეთ განაწილებული**

| | მეტროპოლიაზე | ახალშენებში | ზღვაზე |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 131. | 39. | 4. |
| შეერ. შტატები | 25. | 14. | 9. |
| ინგლისი | 7. | 23. | 4. |
| იაპონია | 27. | 3. | 3. |

საფრანგეთის ძლიერი „ჰაერის“ ძალები შეკრებილია ერთ ადგილას—თვით საფრანგეთში და როგორც ინგლისელები სწერენ „ცხადია ეს მძლავრი მუშტი მიმართულია ლონდონისკენ,“ რომელიც დაშორებულია საფრანგეთის ავიაციის ბაზიდან მხოლოდ 12 საათის გადასაფრენზე. ამის წინააღმდეგ ინგლისის მიერ მიღებულია უკვე ზომები: ამ ბოლო ხანებში დამთავრდება ახალი 8 ესკადრილიის აშენება და ამ გვარად მეტროპოლიაზე იქნება 15 ესკადრილია; შემდეგისთვის კი 1925—1926 წლის ბიუჯეტით გადადებულია კიდევ ექვსი ესკადრილიის აშენება.

მფრენავთა შემადგენლობა კი ამ ზაფხულს 33.000—35.000 კაცამდის ავა.

**„ხაკი“-ს ფერის ტანისამოსის ლიკვიდაცია ამერიკის ჯარში.**

შეერთებულ შტატებში ახალ გამოგონილ ბინოკლში ფერი „ხაკი“ წითელ ფერად მოსჩანს რადგანაც „ხაკი“—წითელ, მუქ ყვითელ და მწვანე ფერადების შეერთება არის, ბინოკლის ოკულიარებზე ალის ფერ მინების ჩამოცმევით მოსპობილ იქმნენ უკანასკნელი ფერადები. ამ რიგად ამ ახალმა შემოღებამ დააკარგვინა „ხაკ“-ს მისი შეხამების თვისება—რადგანაც ის აშკარა წითლად მოსჩანს; და ამ ჟამად ამერიკის სამხედრო უწყებაში შეუდგენ ფერადების ისეთ შეერთების გამოძებნას, რომელიც აწერილ ბინოკლის საშუალებით არ დაიშლება.

**იმპერიალისტურ ომის მსხვერპლის სტატისტიკა.**

სპეციალ კარნეგის ინსტიტუტის ცნობებით იმპერიალისტურ ომში (1914 წ. აგვისტოდან 1918 წ. 11 ნოემბრამდის) დახოცილთა რიცხვი სულ 12.996.571 კაცია, ე.ი. 8.294 კაცი თითო დღეში. ყველაზე ბევრი რუსეთში—4.012.064 კაცი. მერე გერმანია და შემდეგ საფრანგეთი. სხვათა შორის საინტერესოა ის გარემოება რომ ფრანკო ხრუსიის ომის დროს ორთავ მხრიდან დახოცილთა რიცხვი დღეში 876 იყო ე. ი. 10-ჯერ ნაკლები ვიდრე ამ უკანასკნელ ომში.

დ. ქ.

## წითელ-არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტარინარო დარგიდან.

**„საპის“ მიერ გამოწვეული სურათი სხეულის შიგნეულობაში და გარეთ.**

რადგანაც საპის ბაცილების მიერ გამოწვეული სურათები ავადმყოფ სხეულის შიგნით და გარეთ შეადგენენ იმავე დროს ავადმყოფობის ნიშნებს, ამიტომ ამ სურათების განსაკუთრებული განხილვა ზედმეტად მიგვაჩნია, მით უფრო უმეტესად რომ იგი შეადგენს უფრო სპეციალურ საგანს, ვიდრე დარიგებითი ხასიათის მატარებელს; ამიტომ პირდაპირ გადავალთ საპის ნიშნების აღწერაზე.

**საპით ავადმყოფობის ნიშნები.**

ცხენის არც ერთი სხვა ავადმყოფობის გამოცნობისათვის სისწორით დასმულ დიაგნოზს (გამოცნობა) არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც საპის გამოცნობისათვის და ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ არც ერთს ცხენის ავადმყოფობას არ ელობება დიდი და აუარებელი და-

ბრკოლებები, როგორც საპით ავადმყოფობას. მიუხედავათ ამ დაბრკოლებებისა, სავეტერინარო მეცადინეობამ და ნამეტურად მისმა ნაწილმა—„ბაქტერიოლოგიამ“ (ბაცილების და ბაქტერიების ამომჩენი მეცნიერებაა) მოგვცა ზოგიერთი გადამწყვეტი ნიშნები საპით ავადმყოფობისა; ამ მხრივ—უმალი საპის გამოცნობა უფრო ადვილია, ვიდრე ქრონიულისა.

უმალი საპი იწყება ცხოველის „ერჟოლით“ და სიცხის მაღალ წერტილამდე აწევით—42 გრადუსამდე; ამას ერთვის ცხვირის ნესტოებიდან, ხან ორთავედან, ხან ერთ მხრიულად (ეს ნიშანი უაღრესი დამარწმუნებელი ნიშანია საპით ავადმყოფობისა) გამონადენი, ჯერ—ლორწოიან—ჩირქიანი, შემდეგ სისხლიანი და ბოლოს ორთავ ერთად შერეული (Ихорозное истечение); ცხვირის თვალსაჩინო ლორწოიანი გარსი მოფენილია პატარ-პატარა კვანძეულობით დ მოურჩენელი წყლულებით, რომელნიც გაფართოვების შემდეგ ერთდებიან, ამით ცხვირის მთელი ლორწოიან გარსი ლპება და იმოსება ყელჭირების იარის მგზავს ნივთიერებით (Дифтиритная мысь); ეს პროცესი თავდება 2—3 დღეში. შემდეგ ცხენს სუნთქვა ეხუთება, ფრუტუნს, კვნესას, ხრიტინს უხშირებს; ამას ერთვის ტყავის სიმსივნე, მასზე წყლულების გამოყრა და აშკარა, სირმის მსგავსად, გასიებული ლიმფატიური ძარღვები,—სიმსივნე ლიმფატიური ჯირყვლებისა, ერთმხრიული სიმსივნე და შემდეგ დაიარება—დაწყლულება ძირა ყბის შიგნითა გვერდზე მდებარე ჯირყვლებისა, ჭამის ალკვეთა, ყლაპვის სიძნელე, ძლიერი სიგამხდრე, სისუსტე, უძლურება და ორი კვირის შემდეგ აუცილებელი სიკვდილი.

ძალიან ძნელია ქრონიული საპის ნიშნების ანუსხვა და კიბის საფეხურის მგზავსად აკინძვა, რადგანაც მისი პირველ-დაწყებითი ხანა ისე ჩუმად იპარება, რომ ვერც ექიმი, ვერც ცხოველის პატრონი ვერ იგებენ; ამიტომ ეს ხანა მსვლელი „საპით“ იყო ცნობილი, როგორც „დაფარული საპი“, ქრონიული საპის ნიშნები შესდგება: ერთ მხრიული, ანდა ორმხრიული ცხვირიდან „გამონადენისაგან“; მისი რაოდენობა განისაზღვრება წვეთ-წვეთობით და შესდგება არა ჩირქიანი ნივთიერებით, როგორც „უმალ საპის“ დროს, არამედ თეთრი ფერის ლორწოთი, რომელიც ხან ბლომად გადმოდის, ხან კლებულობს და ხან სრულებით სწყდება.

**ბასრი.**

---

— **ვირთაგვებთან ბრძოლა.** ქ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასდვა 4,000 მან. ქალაქში გამრავლებულ ვირთაგვების მოსასპობათ.

— **დახმარება პროვინციას.** ქ. აღმასკომმა ჩოხატაურის (გურია) საავადმყოფოს დასამთავრებლათ და გზების შესაკეთებლათ გადასდო 1000 მანეთი.

— **გლეხები მოითხოვენ.** სოც. უზრ. კომისარიატს საქართველოს ყველა კუთხეებიდან მოსდის წერილები და დეპეშები, სადაც ისინი მოითხოვენ დაჩქარებით იქნეს აგებული გლეხთა სასახლე ქალაქ ტფილისში.

— **გლეხკომები.** გარდა ლეჩხუმისა და სვანეთის მაზრებისა საქართველოს ყველა კუთხეში მოწყობილია ამჟამათ გლეხთა კომიტეტები.

— **გლეხების გაზეთი.** ტფილისის მაზრის გლეხთა კომიტეტმა დაადგინა პირველ რიგში გამოიწეროს ოცი ცალი „მიწის მუშა“, როგორც საგლეხო საქმის გაზეთი.

— **პროფესიონალური ავათმყოფობანი.** დამზღვევმა კასამ დაადგინა მოაწყოს პროფესიონალურ ავათმყოფობათა შემსწავლელი ინსტიტუტი.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 24 აპრილს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 50 უმუშევარი, მოთხოვნილება იყო 56-ს ახლათ ჩაეწერა 45 კაცი..

— **ბიბლიოთეკების გახსნა.** მთავარ განათლების წიგნის მაღაზიამ გახსნა 14 ბიბლიოთეკა ფასიანი და 12 უფასო.

— **საქონლის ჭირი.** დუშეთის მაზრის რამოდენიმე სოფელში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. ამისგამო გამოცხადებულია კარანტინი სამი თვით.

## ხელოვნება.

— **ანტისარწმუნოებრივი საღამო.** დღეს შრომის ბირჟის შენობაში გაიმართება ანტირელიგიური საღამო. წაკითხულ იქნება მოხსენება და წარმოდგენილ იქნება პიესა მღვდლების ცხოვრებიდან.

— **უმუშევრების სასარგებლოთ.** 8 მაისს განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება დიდი საღამო უმუშევართა სასარგებლოთ.

— **„ხელოვნება“.** 1-ლ მაისს გამოვა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ჟურნალი „ხელოვნება“.

---

# მეცნიერება და ტექნიკა

### რამდენ ენერგიას ხარჯავს ადამიანი სხვა და სხვა მუშაობის დროს.

სხვა და სხვა მუშაობის დროს, ადამიანი სხვა და სხვა რაოდენობით ხარჯავს ენერგიას და თავისი დღე ღამის საქმიანობის პროცესში ჰკარგავს ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც მან უნდა დაიბრუნოს ისევ სხვა და სხვა სანოვაგის შემწეობით. ამ მხრივ რაც უფრო მეტს მუშაობს იგი, მით უფრო მეტია ენერგიის ხარჯვა, რომელიც იზომება კალორიებში. (კალორია სითბოს საზომი ერთეულია). ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს თუ ენერგიის როგორ რაოდენობას ხარჯავს სხვა და სხვა პროფესიის მუშა დღე ღამის განმავლობაში.

1) ფიზიკ. ნაკლებ. მომუშ.—2 400 კალ.
2) მოსამსახურე გადამწერი—2.500 კალ.
3) ხელით მკერვალი—2.700 კალ.
4) მანქ. მომუშავე მკერავი—3.300 კ.
5) მეხანიკური ქარხ. მუშა—3.300 კ.
6) მკელი (მკის დროს) 4.000 კ.
7) მჭედელი—4.100 კალ.
8) მხვნელი—5.000 კალ.
9) შეშის მჭრელი (ხეზე მომუშ)—6000კ.

ზოგიერთი მეცნიერები ამტკიცებენ, მაგალითად ფინელი მეცნიერი ტიგერშტედტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე სამუშაოს პირობებში დახარჯულ ენერგიის რაოდენობა აღწევს 8.000 კალორიამდე, რაც ბუნებრივი არისო, და მოითხოვს სანოვაგის შესაფერ რაოდენობით, სინოყიერით მიწოდებას.

### ამოღებულ ნავთის რაოდენობა მთელ მსოფლიოში.

შეერთებულ შტატებში (ამერიკა) ნავთის სისტემატიური დამუშავება დაიწყო 1857 წ. ამ ხნიდან დაწყებული 1914 წლამდე ამერიკაში დამუშავებულ ნავთის რაოდენობა აღწევდა ერთ მილიარდ კუბიკურ მეტრს. რომ შესაძლებელი იყოს ნავთის ამ რაოდენობის ერთად შეგროვება ის გაამსებდა ისეთ კუბს, რომლის გვერდები იქნებოდა თითო ვერსის სიგრძე. ამ ნავთის გადასაზიდავათ კი ცისტერნებით, საჭირო იქნებოდა 470.000 კილომეტრის სიგრძე მატარებელი. ასეთი სიგრძის მატარებელი კი 12-ჯერ შემოერტყმოდა გარს დედა მიწას. აქედან ცხადია თუ რა აუარება ნავთი დამუშავებულა ამერიკაში.

პირველი ადგილი ნავთის დამუშავების მხრივ ეკუთვნის ამერიკას, ხოლო მეორე რუსეთს. ირივე ერთად კი ამუშავებს მსოფლიოში ამოღებულ ნავთს 0,9 მეათედს. დანარჩენი რაოდენობა კი მუშავდება სხვა ქვეყნებში.

**შეიხ.**

---

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. კაკაურიძეს.—თქვენი წერილი რედაქციამ მიიღო. ჩვენ მიერ მიღებულ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ გაზეთები ფოსტით იგზავნებოდა ს. სვირში, მიდიოდა თუ არა ის თავის დანიშნულისამებრ, ამის შესახებ, თქვენ უნდა თავის დროზე გეცნობებიათ კანტორისათვის. თქვენი საყვედური ამის შესახებ უადგილოა, თუ არა მეტი. რაც შეეხება თქვენს წერილებს, ერთზე თავის დროზე იყო პასუხი, მეორე კი ამ დღეებში წავა, რადგან იქ აღძრული საკითხი არ კარგავს ჯერჯერობით თავის მნიშვნელობას.

---

## ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების პირველი მოთხოვნილების საქონლის ფასები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | კართოფილი | 1 | გირ. | —1½ | კაპ. |
| 2. | თაფლი ახალციხის | 1 | „ | —36 | „ |
| 3. | კვერცხი | 1 | ც. | —02 | „ |
| 4. | ერბო | 1 | გირ. | —90 | „ |
| 5. | კარაქი | 1 | „ | —90 | „ |
| 6. | ქონი გადამდნარი | 1 | „ | —42 | „ |
| 7. | „ ზურგის | 1 | „ | —48 | „ |
| 8. | ყველი ევკოგრუზის | 1 | „ | —50 | „ |
| 9. | შაშხი ბარკალი (ვიჩ.) | 1 | „ | —48 | „ |
| 10. | „ ბეჭი | 1 | „ | —43 | „ |
| 11. | „ ფერდი | 1 | „ | —43 | „ |
| 12. | „ გვერდები | 1 | „ | —43 | „ |
| 13. | ბრინჯი ალდაშის | 1 | „ | —10 | „ |
| 14. | „ აქულა | 1 | „ | —15 | „ |
| 15. | „ ზარნა | 1 | „ | —12 | „ |
| 16. | „ ნახიჩევანის | 1 | „ | —14 | „ |
| 17. | ასანთი | 1 | ც. | —02 | „ |
| 18. | მარილი | 1 | გირ. | —02½ | კაპ. |
| 19. | ლილა | 1 | პ. | —05 „ | „ |
| 20. | ქიშმიში | 1 | გირ. | —17 | „ |
| 21. | ყავა ქერის პაჩ. | 1 | პ. | —40 | „ |
| 22. | ლობიო წითელი | 1 | გირ. | —02½ | „ |
| 23. | საპონი ტოლლე | 1 | ც. | —20 „ | „ |
| 24. | „ „დოკატი“ | 1 | „ | —20 | „ |
| 25. | „ „მამალი“ | 1 | „ | —20 | „ |
| 26. | მაზი ფეხსაცმელის პ. | 1 | ბანკა | —20 | „ |
| 27. | „ „ შუათ. | 1 | „ | —25 | „ |
| 28. | „ „ დიდი | 1 | „ | —30 | „ |
| 29. | მაკარონი | 1 | გირ. | —16 | „ |
| 30. | ფქვილი №0 | 1 | ფ. | 4—40 | „ |
| 31. | „ №000 | 1 | „ | 5—40 | „ |
| 32. | „ კუბ. უჩრ. | 1 | გირ. | —09 | „ |
| 33. | ჩაი ინგლისური | 1 | „ | 4—00 | „ |
| 34. | „ ჩაკვის | 1 | „ | 2—20 | „ |
| 35. | „ ცეკავშირის | 1 | „ | 2—40 | „ |
| 36. | შაქარი ფხვნილი | 1 | გირ. | —26 | კაპ. |
| 37. | „ დახერხილი | 1 | „ | —32½ | „ |
| 38. | „ ნატეხი | 1 | „ | —32½ | „ |
| 39. | კაკაო „აიდა“ | 1 | „ | 1—80 | „ |
| 40. | „ ცენტროსოიუზი | 1 | „ | 2—20 | „ |
| 41. | „ გოლან. ეინემ | 1 | „ | 3—80 | „ |
| 42. | პაპირ. საბჭოს | 1 | კოლ. | —23 „ | „ |
| 43. | „ დელიკატესი | 1 | „ | —18 | „ |
| 44. | „ „ პაჩკა | 1 | „ | —16½ | „ |
| 45. | „ სოლიდნი | 1 | „ | —20½ | „ |
| 46. | „ მეფისტოფ | 1 | „ | —20 | „ |
| 47. | „ ხან-კეფი | 1 | „ | —18½ | „ |
| 48. | „ ფედერაცია | 1 | „ | —13 | „ |
| 49. | „ განს. შეკ. 100 | 1 | „ | —46 | „ |
| 50. | თუთუნი სახალხო | 1 | პაჩ. | 1—60 | „ |
| 51. | „ სლონ | 1 | „ | 2—72 | „ |
| 52. | „ სამსუნ | 1 | „ | 1—60 | „ |
| 53. | „ № 108 | 1 | „ | 1—60 | „ |

### ფ ა რ თ ლ ე უ ლ ო ბ ა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | № 826 ოქსფორდი | 1 | არშ. | —32 | კაპ. |
| 2. | № 806 მიტკალი | 1 | „ | —27 | „ |
| 3. | № 700 ბატისტი | 1 | „ | —32 | „ |
| 4. | № 315 მუსლინი | 1 | „ | —36 | „ |
| 5. | № 693 ლიუსტრალი | 1 | „ | —54 | „ |
| 6. | № 24 მოლესკინი | 1 | „ | —74 | „ |
| 7. | № 727 ნაპ. შავი | 1 | „ | —50 | „ |
| 8. | № 790 არტიკული | 1 | „ | 3—02 | „ |
| 9. | № 691 სატინა | 1 | „ | —44 | „ |
| 10. | № 633 ფულიარი | 1 | „ | —35 | „ |
| 11. | № 723 მოლესკინი | 1 | „ | —54 | „ |

### ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფეხსაცმელები კაცის | 1 | წყ. | 13—95 | „ |
| 2. | „ „ | 1 | „ | 19—95 | „ |
| 3. | „ ქალის | 1 | „ | 13—00 | „ |
| 4. | „ „ | 1 | „ | 15—00 | „ |

**ევკოგრუზის გამგეობა.**

---

თანახმად ქარ. დივ. მთლიან მომხმარებელ საზოგადოების „ევკოგრუზის“ გამგეობის პლენუმის დადგენილებისა, სამხედრო კოოპერატიული **მესამე ყრილობა** მოწვეული იქნება ამა წლის **28 აპრილს** დილის 10 საათზე.

ყრილობის დღის წესრიგისათვის განზრახულია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში;
2. შინა-ვაჭრობა და კოოპერაცია.
3. წესდების შესწორება.
4. საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. მიმდინარე საკითხები.

ქარ. დივ. მთლიან მომხ. საზ. გამგეობა.

---

# ახალი ამბები

— **მადლობის გამოცხადება.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა მადლობა გამოუცხადოს თფილისის მილიციის თანამშრომლებს მათი მუყაითი მუშაობის გამო.

— **უფასოთ ექიმობა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ქალაქის საავათმყოფოებში უფასო ექიმობა გაუწიოს მოსწავლეებს, სამხედრო პირებს, შრ. ბირჟის წევრებს, მილიციის თანამშრომლებს და მათ ვინც წარმოადგენს სიღარიბის მოწმობას.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.